

ფაქტობრივი გარემოებები	შეფასება	ლონისძიებები
<p>საწარმოს საქმიანობის სავანია სუპერმარკეტების ქსელში სურსათით ვაჭრობა. ამდენად, სავაჭრო ობიექტიდან სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გასვლა შესაძლებელია სამი გზით - რეალიზაცია, ადგილზე უკანონო მოხმარება და ქურდობა. აღნიშნულ ობიექტებში საწარმო გარკვეული პერიოდულობით ატარებს სმფ-ების შიდა ინვენტარიზაციას. ამასთან, მისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, ინვენტარიზაციის დროს დანაკლისად გამოვლენილი სმფ-ები ექვემდებარება ბალანსიდან ბუღალტრულად ჩამოწერას.</p>	<p>2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 102-ე, 161-ე და 286-ე მუხლების შესაბამისად:</p> <ul style="list-style-type: none">• დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად.• საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის საბაზრო ფასი.• საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება ითვლება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად, რა დროსაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის საბაზრო ფასით. <p>2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98³, 161-ე და 286-ე მუხლების შესაბამისად:</p> <ul style="list-style-type: none">• დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად.• მოგების გადასახადის მიზნებისთვის, დანაკლისი ითვლება მისი გამოვლენის მომენტში ამ საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებად, ამასთან, მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტია უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება.• საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება ითვლება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად, რა დროსაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის საბაზრო ფასით.	<p>საწარმოს ქმედება მართლზომიერია.</p> <p>იმის გათვალისწინებით, რომ არ არის იდენტიფიცირებული სმფ-ების ქურდობის ან/და უკანონო მოხმარების განმახორციელებელი პირი, შესაბამისი დანაკლისი საშემოსავლო გადასახადით არ დაიბეგრება.</p>
<p>გარდა აღნიშნულისა, არ არის იდენტიფიცირებული სმფ-ების ქურდობის ან/და უკანონო მოხმარების განმახორციელებელი პირი. შესაბამისად, ზიანის/კომპენსაციის ანაზღაურება არ მომხდარა (მათ შორის არც დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში). აგრეთვე, არ არსებობს დანაკლისის გამომრიცხავი სხვა მტკიცებულება (მათ შორის, ადგილი არ აქვს სმფ-ების ჩამოწერას სს კ-ის 145-ე მუხლის შესაბამისად).</p>		
<p>დაბეგვრის მიზნებისთვის, საწარმოს მიერ შესაბამისი სმფ-ების დანაკლისი განხილულია საბაზრო ფასით მიწოდებად და დაბეგრილია დღგ-ისა და მოგების გადასახადებით.</p>		
<p>I ვარიანტი: აღწერილ ფაქტობრივ გარემოებას ადგილი აქვს 2017 წლის 1 იანვრამდე.</p>	<p>I ვარიანტი: 2017 წლის 1 იანვრამდე, სმფ-ების დანაკლისის თანხა საწარმოს მიერ უნდა დაემატოს შესაბამისი წლ(ებ)ის ერთობლივ შემოსავალს და იმავდროულად, უნდა ჩაირთოს დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვებში.</p>	
<p>II ვარიანტი: აღწერილ ფაქტობრივ გარემოებას ადგილი აქვს 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ.</p>	<p>II ვარიანტი: 2017 წლის 1 იანვრიდან, სმფ-ების დანაკლისის თანხა საწარმოს მიერ შესაბამისი თვე(ებ)ში უნდა დაიბეგროს მოგების გადასახადით და იმავდროულად, უნდა ჩაირთოს დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვებში.</p>	

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2019 წლის 16 ოქტომბრისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით

ანოტაცია

„სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის დაბეგვრა“ N1728 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელოს დამტკიცების მიზანია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის მიმართ არაერთგვაროვანი პრაქტიკის დარეგულირება.

კერძოდ, სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, საწარმოს საქმიანობის საგანია სუპერმარკეტების ქსელში სურსათით ვაჭრობა. ამდენად, სავაჭრო ობიექტიდან სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გასვლა შესაძლებელია სამი გზით - რეალიზაცია, ადგილზე უკანონო მოხმარება და ქურდობა. აღნიშნულ ობიექტებში საწარმოს გარკვეული პერიოდულობით ატარებს სმფ-ების შიდა ინვენტარიზაციას. ამასთან, პირის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, ინვენტარიზაციის დროს დანაკლისად გამოვლენილი სმფ-ები ექვემდებარება ბალანსიდან ბუღალტრულად ჩამოწერას.

გარდა აღნიშნულისა, არ არის იდენტიფიცირებული სმფ-ების ქურდობის ან/და უკანონო მოხმარების განმახორციელებელი პირი. შესაბამისად, ზიანის/კომპენსაციის ანაზღაურება არ მომხდარა (მათ შორის არც დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში). აგრეთვე, არ არსებობს დანაკლისის გამომრიცხავი სხვა მტკიცებულება (მათ შორის, ადგილი არ აქვს სმფ-ების ჩამოწერას სსკ-ის 145-ე მუხლის შესაბამისად).

დაბეგვრის მიზნებისთვის, საწარმოს მიერ შესაბამისი სმფ-ების დანაკლისი განხილულია საბაზრო ფასით მიწოდებად და დაბეგრილია დღგ-ისა და მოგების გადასახადებით.

განსხვავებული საკანონმდებლო ნორმების არსებობიდან გამომდინარე სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულია ორი პერიოდი. კერძოდ, როდესაც აღწერილ ფაქტობრივ გარემოებას ადგილი აქვს 2017 წლის 1 იანვრამდე და როდესაც აღწერილ ფაქტობრივ გარემოებას ადგილი აქვს 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ.

2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 102-ე, 161-ე და 286-ე მუხლების შესაბამისად:

- დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად.
- საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის საბაზრო ფასი.
- საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება ითვლება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად, რა დროსაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის საბაზრო ფასით.

2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98³, 161-ე და 286-ე მუხლების შესაბამისად:

- დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად.

- მოგების გადასახადის მიზნებისთვის, დანაკლისი ითვლება მისი გამოვლენის მომენტში ამ საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებად, ამასთან, მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტია უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება.

- საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება ითვლება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად, რა დროსაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის საბაზრო ფასით.

იმის გათვალისწინებით, რომ არ არის იდენტიფიცირებული სმფ-ების ქურდობის ან/და უკანონო მოხმარების განმახორციელებელი პირი, შესაბამისი დანაკლისი საშემოსავლო გადასახადით არ დაიბეგრება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ქმედება მართლზომიერია.